
კონსრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ნუცუბიძის I მ/რ-ში მდებარე ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.003) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების გამო მიმდებარედ არსებულ ნაგებობებზე შესაძლო გავლენასთან დაკავშირებით

შპს "აი-ბი-ეს ქონსთრაქშენ" –ის (ალექსანდრე ღლონტი) დაკვეთით შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, ნუცუბიძის I მ/რ-ში მდებარე ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.003) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებასთან დაკავშირებით, მიმდებარედ არსებულ ნაგებობებზე შესაძლო ზეგავლენის მოხდენის საკითხი.

საკითხის შესწავლა მოხდა ადგილზე ტერიტორიის დათვალიერების, არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტების, ასევე საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების გაცნობის გათვალისწინებით.

პროექტის თანახმად აღნიშნულ ნაკვეთზე გათვალისწინებულია 11 სართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება. გენგეგმის მიხედვით, საპროექტო შენობის ჩრდილოეთის მხრიდან, სასაზღვრო მიწაზე, მდებარეობს მობინადრეთა ავტოფარეხები (ძირითადად ერთსართულიანები) და ეს ტერიტორია წარმოადგენს მიმდებარე საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეთა საერთო ტერიტორიას. (იხ. სურ.1)



სურ.1

აღნიშნული ავტოფარეხები აშენებულია 1997-1998 წლებში, კედლები ძირითადად ბეტონის ბლოკებისაა. გადახურვები - რკინაბეტონისა. მზიდ კონსტრუქციებში არ შეინიშნება ექსპლოატაციისთვის საშიში ბზარები და დეფორმაციები.

სამშენებლო ტერიტორიაზე გეოლოგიური კვლევა ჩატარდა 2008 წელს შპს „გენგეოს“ მიერ. კვლევის თანახმად, უბანი მდგრადია და გეოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორია იმყოფება

დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. რელიეფიდან 2.2 - 3.0 მეტრის სიღრმიდან განლაგებულია კლდოვანი ქანი (სუბარბილითები, საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე 119 კგ/სმ^2). ამჟამად სამშენებლო ტერიტორიაზე ჩანს დემონტირებული შენობის სარდაფის ბეტონის კედლები და იატაკი (იხ სურ.2;3).

შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის თანახმად დაფუძნება ხდება წერტილოვანი საძირკვლებით კლდოვან ქანებზე (სუბარბილითებზე).



სურ.2



სურ.3

გეოლოგიურ კვლევაში არ ჩანს არსებული ავტოფარეხების კედლების საძირკვლების დაფუძნების პირობები. ამიტომ საჭიროა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შურფებით დადგინდეს არსებული საძირკვლების დაფუძნების პირობები და შედეგები აისახოს საინჟინრო გეოლოგიურ დასკვნაში.

დ ა ს კ ვ ნ ა

იმის გამო, რომ საპროექტო შენობის დაფუძნება ხდება კლდოვან ქანებზე, რომელიც პრაქტიკულად ითვლება არაკუმშვად ბრუნტად, მისი აშენების შედეგად არ შეიძლება გაუარესდეს სამეზობლო მიწნაზე მდებარე არსებული ავტოფარეხების ტექნიკური მდებარეობა და დაშორება მათ საძირკვლებს შორის შეიძლება იყოს მინიმალური 10-20 სმ, იმ შემთხვევაში თუ თვითონ აფტოფარეხებიც დაფუძნებული იქნება კლდოვან ბრუნტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტში უნდა გათვალისწინებული იყოს სათანადო გადაწყვეტები რათა ქვაბულის ამოღების დროს უზრუნველყოფილი იყოს ავტოფარეხების კედლების მდგრადობა.

ექსპერტი
ინჟინერ-კონსტრუქტორი

ნ. გეჯაძე
ngejadze@mail.ru
599963153